„საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს უფლებამონაცვლეთა შეუფერხებელი საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით რიგ ღონისძიებათა განხორციელების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 24 ივლისის N371 დადგენილებით განსაზღვრული სამთავრობო კომისიის სხდომის

ოქმი N1

31 ივლისი 2018 წელი

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო
ქ. თბილისი, აკ. წერეთლის გამზირი N144

თავმჯდომარეობდა: **მიხეილ დუნდუა** - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე, კომისიის თავმჯდომარე.

კომისიის სხდომას ესწრებოდნენ:

კომისიის წევრები:

**ივანე ბიბილაშვილი** - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი;

**ნოე ქინქლაძე** - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი;

**ივანე გოლიაძე** - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე;

**მარინა აბრამიშვილი** - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ეკონომიკური დეპარტამენტის ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგების სამმართველოს უფროსი;

**ბესარიონ ბუჩუკური** - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საფინანსო დეპარტამენტის უფროსი;

**კახაბერ ძიმისტარიშვილი** - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის უფროსი;

**ზვიად ლათიბაშვილი** - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და

სოციალური დაცვის სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის უფროსი;

**ნოდარ ყოჩიშვილი** - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ადმინისტრაციული დეპარტამენტის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი;

**ნანი ალანია** - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ადმინისტრაციული დეპარტამენტის საქმისწარმოების სამმართველოს უფროსი;

**გურამ გიორგობიანი** - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ადმინისტრაციული დეპარტამენტის მატერიალური უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი;

**მანანა გორდულაძე** - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ადმინისტრაციული დეპარტამენტის საქმისწარმოების სამმართველოს უფროსი;

**ეკატერინე გუნცაძე** - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბიუჯეტო დეპარტამენტის უფროსი;

**გიორგი ფიცხელაური** - ქონების ეროვნული სააგენტოს სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსი;

**ბადრი ჩერქეზიშვილი** - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე;

**დავით მეტრეველი** - საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სამართლებრივი უზრუნველყოფისა და ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის უფროსი;

**ჯუანშერ ბურჭულაძე** - სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის აღმასრულებელი დირექტორის პირველი მოადგილე;

**ნინო ნოზაძე** - შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსი.

კომისიის სამდივნო:

**ჯუნა გერსამია** - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ეკონომიკური დეპარტამენტის საფინანსო-საბიუჯეტო სამმართველოს მთავარი სპეციალისტი.

კომისიის სხდომაზე მოწვეულნი იყვნენ:

ინგა ცირდავა - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საფინანსო დეპარტამენტის აღრიცხვა-ანგარიშგების სამმართველოს უფროსი;

ზურაბ თოლორდავა - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის ანგარიშგების და მეთოდოლოგიის დეპარტამენტის უფროსი.

დღის წესრიგი

კომისიის წევრებმა თავიანთი კომპეტენციების და შესაძლებლობების ფარგლებში იმსჯელეს და შეჯერდნენ საკითხების მოგვარების მიზნით გასატარებელ ღონისძიებებზე.

საკითხი - 1.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს 6 თვის ანგარიშგებაზე უფლებამოსილი პირის განსაზღვრის თაობაზე.

მოისმინეს ბ-ნ. ბესარიონ ბუჩუკურის აზრი, რომელმაც აღნიშნა, რომ „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ" ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანების შესაბამისად, ფინანსური ანგარიშგების დანართი ფორმების სახით 6 თვის ბუღალტრული აღრიცხვის ინფორმაციის საქართველოს ფინანსთა სამინისტროში წარდგენის ვადა არის არაუგვიანეს 1 აგვისტომდე, შესაბამისად, საჭიროა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს 6 თვის ანგარიშგების დანართების წარდგენაზე უფლებამოსილი პირის განსაზღვრა. ამასთან, მან აღნიშნა, რომ სამინისტროების შერწყმამდე ფინანსურ ანგარიშგებაზე უფლებამოსილი პირი იყო მინისტრის პირველი მოადგილე - გრიგოლ გიორგაძე.

გადაწყვეტილება:

კომისიის წევრებმა მიზანშეწონილად ჩათვალეს, რომ ვინაიდან, ყოფილი დევნილთა სამინისტროს საფინანსო დეპარტამენტი იყო მინისტრის პირველი მოადგილის - გრიგოლ გიორგაძის დაქვემდებარებაში/კომპეტენციაში საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს 6 თვის ანგარიშგებაზე უფლებამოსილ პირად განისაზღვროს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე - ბატონი გრიგოლ გიორგაძე.

საკითხთან დაკავშირებით კომისიის წევრებს განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.

საკითხი - 2.

**ყოფილი დევნილთა სამინისტროს შენობის მოვლა-შენახვის ხარჯების განაწილების შესახებ.**

მოისმინეს ბ-ნ. ნოე ქინქლაძისა და ბ-ნ. ბესარიონ ბუჩუკურის მოსაზრება ამ საკითხთან დაკავშირებით და აზრთა ურთიერთგაცვლის საფუძველზე მიღებულ იქნა შემდეგი **გადაწყვეტილება:**

კომისიის წევრებმა მიზანშეწონილად ჩათვალეს, რომ ნება დაერთოს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, რომ გარდამავალ პერიოდში, წლის ბოლომდე გაწიოს ყოფილი დევნილთა სამინისტროს შენობის მოვლა-შენახვის, დაცვისა და საერთო კომუნალური ხარჯები (მიუხდავად იმისა, რომ ამავე შენობაში იმყოფებიან ყოფილი დევნილთა სამინისტროს ის თანამშრომლები, რომლებიც დღეის მდგომარეობით გადავიდნენ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში, შსს-სა და შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატში).

საკითხთან დაკავშირებით კომისიის წევრებს განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.

საკითხი - 3.

**სალიკვიდაციო ბალანსის შედგენისა და ინვენტარიზაციის ჩატარების თაობაზე.**

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გამოითქვა მრავალი მოსაზრება. მოისმინეს ბ-ნ. ზურაბ თოლორდავას რეკომენდაცია, რომელმაც აღნიშნა, რომ ინვენტარიზაციის ჩატარების წესში შესატან ცვლილებებთან დაკავშირებით მომზადებულია პროექტი, რომელიც უახლოეს მომავალში დამტკიცდება. აღნიშნულ პროექტში გათვალისწინებულია აუდიტის სამსახურის რეკომენდაციები ისეთ აქტივებთან და ვალდებულებებთან დაკავშირებით, რომელთა იდენტიფიცირება და შესაბამისი დოკუმენტაციის მოძიება ვერ ხერხდება. კომისიას აქვს საფუძველი, რომ ასეთი ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ჩამოწერილი იქნას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, როგორც არარეალური; აღირიცხოს საცნობარო მუხლში (ბალანსგარეშე ანგარიშზე) და ინსტრუქციის შესაბამისად, 5 წლის განმავლობაში, საბოლოო ანულირებამდე ან საბალანსო მუხლად აღდგენამდე, პერიოდულად გატარდეს მეთოდოლოგიით განსაზღვრული ღონისძიებები.

**აზრთა ურთიერთგაცვლის საფუძველზე, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება:**

ა) კომისიის წევრებმა მიზანშეწონილად ჩათვალეს, რომ ყოფილი დევნილთა სამინისტროს საფინანსო სამსახურს დაევალოს მუშაობის დაწყება სალიკვიდაციო ბალანსზე და თავად წარმოადგინონ დასრულების ვადა შემდეგ სხდომაზე;

ბ) შედგეს სია იმ პირველადი მატერიალური ფასეულობების, რომელთა გადაცემაც მოხდება პირველ ეტაპზე. ეს არის ავტომობილები; აქვე, კომისიის წევრმა, ბ-ნ. ივანე ბიბილაშვილმა კომისიას მიაწოდა ინფორმაცია, რომ საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციიდან შემოსულია ადმინისტრაციის უფროსის წერილი ყოფილი დევნილთა სამინისტროს სარგებლობაში არსებული 2 ავტომობილის: „ტოიოტა ქემრი" სახ. ნომრით BB558VV და

„ტოიოტა ლენდ კრუიზერი LG200“ სახ. ნომრით CNC165 საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციისათვის უვადოდ სარგებლობაში გადაცემის შესახებ, რაზედაც მიღებულია მინისტრის თანხმობა. შესაბამისად, ეს ავტომობილები ექვემდებარება განხილვის ნუსხიდან ამოღებას;

გ) ისეთი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც არ შეესაბამება არცერთი უფლებამონაცვლე სამინისტროს სპეციფიკას, გადაეცეს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს იმავე სახით, როგორც იყო ყოფილ დევნილთა სამინისტროში. მათ შორის, ის ვალდებულებები, რომელთა იდენტიფიცირება ვერ ხერხდება.

კომისიის სხდომაზე განისაზღვა სამდივნოს წევრები:

ყოფილი დევნილთა სამინისტროდან კადრების სამმართველოს თანამშრომელი - ლალი მაისურაძე, ხოლო საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ეკონომიკური დეპარტამენტიდან - ჯუნა გერსამია.

დანართი:

1. მონაცემები სამთავრობო კომისიის სხდომაზე კომისიის წევრებისა და მოწვეული პირების დასწრების შესახებ.

სამთავრობო კომისიის თავმჯდომარე — მიხეილ დუნდუა

სამთავრობო კომისიის მდივანი — ჯუნა გერსამია

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს უფლებამონაცვლეთა შეუფერხებელი საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით რიგ ღონისძიებათა განხორციელების თაობაზე

სამთავრობო კომისიის N1 სხდომა

სამშაბათს 18:00 საათზე.

| N | სახელი გვარი | ტელეფონი | მეილი | ხელმოწერა |
|---|---|---|---|---|
| 1 | მიხეილ დუნდუა | 595 155427 | mdundua@moh.gov.ge | |
| 2 | გიორგი კაკაურიძე | 577 051590 | Giorgi.kakauridze@mof.ge | |
| 3 | ივანე ბიბილაშვილი | 577 770094 | d.bibilashvili@gmail.com | |
| 4 | ნოე ქინქლაძე | 595 222000 | nkinkladze@moh.gov.ge | |
| 5 | ივანე გოლიაძე | 577 222838 | vaniko@moh.gov.ge | |
| 6 | მარინა აბრამიშვილი | 577 555357 | mabramishvili@moh.gov.ge | |
| 7 | ბესარიონ ბუჩუკური | 577 282434 | b.buchukuri@mra.gov.ge | |
| 8 | კახაბერ ძიმისტარიშილი | 577 971919 | kdzimistarishvili@moh.gov.ge | |
| 9 | ზვიად ლათიბაშვილი | 599 609595 | z.latibashvili@mra.gov.ge | |
| 10 | ნოდარ ყოჩიშვილი | 599 859441 | n.kochishvili@mra.gov.ge | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 11 | ნანი ალანია | 577735855 | nalania@moh.gov.ge | |
| 12 | გურამ გიორგობიანი | 577 551113 | ggiorgobiani@moh.gov.ge | |
| 13 | მანანა გორგულაძე | 595 113400 | m.gorduladze@mra.gov.ge | |
| 14 | ეკატერინე გუნცაძე | 577 051590 | e.guntsadze@mof.ge | |
| 15 | გიორგი ფიცხელაური | 577 151522 | | |
| 16 | თია მელაძე | 577 526727 | t.meladze@mia.gov.ge | |
| 17 | ალექსანდრე კუტიბაშვილი | 591 404455 | a.kutibashvili@mia.gov.ge | |
| 18 | ბადრი ჩერქეზიშვილი | 577 443443 | b.cherkezishvili@yahoo.com | |
| 19 | დავით მეტრეველი | 577 284788 | d.metreveli@mrdi.gov.ge | |
| 20 | ჯუანშერ ბურჭულაძე | 599 334 466 | Jburchuladze@mdf.org.ge | |
| 21 | ნინო ნოზაძე | 577 999505 | Ninonozadze111@yahoo.com | |

22. ზურაბ [illegible]
23. [illegible] [illegible]